

ა ნ ო ტ ა ც ი ა

ანა ნებიერიძე

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,


ი.ჭავჭავაძის პრ. 3.


უკანასკნელ წლებში ახალი, ბიოლოგიურად და ფარმაკოლოგიურად აქტიური ნაერთების სინთეზის მიზნით, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ნახშირწყლების მოდიფიკაციას სხვადასხვა ტიპის ორგანული ნაერთებით.

ბიოლოგიურად აქტიური ორგანული ნაერთების მოდიფიკაციისათვის გლიკოზიდების გამოყენებამ შეიძლება შეცვალოს ერთის მხრივ მათი ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური მოქმედება, ხოლო მეორეს მხრივ – შეამციროს მათი ტოქსიურობა

ჩვენი სამუშაოს მიზანი იყო ნიტროზო ჯგუფის შემცველი N-გლიკოზიდების სინთეზი.


პირველად იქნა შესწავლილი D-ქსილოზის (1) კონდენსაციის რეაქცია p-ნიტრო-ანილინთან. მიღებული N-β-(p-ნიტროფენილ)-D-ქსილოპირანოზის (2) აცეტილირებით სინთეზირებულია N-β-(p-ნიტროფენილ)-2,3,4-ტრი-O-აცეტილ-D-ქსილოპინოზილამინი (3), ხოლო (3)-ის ურთიერთქმედებით ნატრიუმის ნიტრიტთან სინთეზირებულია N-β-N-ნიტროზო-(p-ნიტროფენილ)-2,3,4-ტრი-O-აცეტილ-D-ქსილოპინოზილამინი (4) ნიტროზო (N=O) ჯგუფის შემცველი N-გლიკოზიდი (5). რეაქცია მიმდინარეობს შემდეგი სქემით:





N-β-(p-ნიტროფენილ)-2,3,4-ტრი-O-
აცეტილ-D-ქსილოპირანოზილამინი (3)

N-β-N-ნიტროზო-(p-ნიტროფენილ)-
2,3,4-ტრი-O-აცეტილ-
D-ქსილოპირანოზილამინი (4)



N-β-N-ნიტროზო-(p-ნიტროფენილ)-
2,3,4-ტრი-O-აცეტილ-
D-ქსილოპირანოზილამინი (4)

N-β-N-ნიტროზო-(p-ნიტროფენილ)-D-
ქსილოპირანოზილამინი (5)